ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 524

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა-ში მდებარე 10.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.02.500) და 25.68 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა-ში მდებარე 10.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.02.500) და 25.68 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5 ოქტომბრის №22.1546.1663 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა, სართული 1-ზე (შენობა №2) მდებარე 10.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.02.500) და ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №101ა, სართული 1-ზე მდებარე 25.68 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.025.011.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზიზილა თავშავაძისთვის (პ/ნ. 01011015361) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე